წესდება – დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება

(ახალი რედაქცია)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ააიპ „სამოქალაქო უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი", შემდგომში მოხსენიებული როგორც „ცენტრი", წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან;

1.3. საზოგადოების სახელწოდება: სამოქალაქო უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;

1.4. სამართლებრივი ფორმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

1.5. იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქუჩა, N 77, ტექნიკური უნივერსიტეტი.

1.6. ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართი cssrcenter@gmail.com

1.7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2. საქმიანობის ფორმები

2.1. ცენტრს უფლება აქვს დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ერთეულები. იყოს სხვა საზოგადოებების, ასოციაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი/პარტნიორი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას,

საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებს, მოქმედ კანონმდებლობას და ამ წესდებას.

2.2. ცენტრს უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ, მოპასუხედ ან მესამე პირად.

2.3. ცენტრს შესაძლოა გააჩნდეს დამოუკიდებელი ბალანსი, იქონიოს საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო ანგარიშები) საქართველოსა და უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში.

2.4. ცენტრი დასახული მიზნების მისაღწევად:

ა) ეწევა სამეცნიერო-კვლევით და საექსპერტო საქმიანობას;

ბ) ახდენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელისშეწყობას და კოორდინაციას;

გ) ხელს უწყობს განსაკუთრებული სამეცნიერო კვლევების წარმოჩენას;

დ) ამზადებს საკანონმდებლო წინადადებებს;

ე) მონაწილეობს საკანონმდებლო ცვილებების განხილვაში;

ვ) ახდენს კანონპროექტების და საკანონმდებლო ბაზის ექსპერტიზას და მათზე ამზადებს დასკვნებს;

ზ) ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს და აწყობს დისკუსიებს;

თ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალებს და სხვა ლიტერატურას;

ი) ატარებს საჯარო ლექცია-სემინარებს და ტრენინგებს;

კ) ზრუნავს ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის, შექმნასა და განვითარებაზე;

ლ) ზრუნავს დარგში დაცული დისერტაციების და რეფერატების ბანკის შექმნაზე;

მ) ქმნის ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს;

ნ) ქმნის კომისიებს და სამეცნიერო საბჭოებს;

ო) აწესებს და ანიჭებს ტიტულებს, გასცემს ჯილდოებს, პრემიებს სახანძრო უსაფრთხოებისა და პრევენციის დარგში მეცნიერების და განათლების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ასევე ამ დარგის ხელისშეწყობისათვის განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების წარმოსაჩენად;

პ) ამყარებს ურთიერთობებს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მომუშავე მეცნიერებთან, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პროფესიულ ორგანიზაციებთან;

ჟ) შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართვებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას;

რ) ამზადებს დამოუკიდებელ კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს, გამოსცემს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაიჯესტებს;

ს) ხელს უწყობს კამპანიების ჩატარებას, სახანძრო უსაფრთხოებისა და პრევენციის მიმართ მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართულობისათვის, ახორციელებს სამოქალაქო დაცვის ინსტიტუტების პოპულარიზაციას;
ტ) ორგანიზებას უწევს კონფერენციების, სემინარების, ტრენინგებისა და მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებთან;
უ) ეწევა ისეთი სახის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსს, ქმნის ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
ფ) ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგების, სემინარების, სალექციო კურსის ჩატარებას, შეიმუშავებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამებს;
2.5. ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით, შეესაბამება ამ წესდებას, არ ცვლის ორგანიზაციის, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსს და მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების პრევენციის გაძლიერებისკენ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
2.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 3. საზოგადოების დამფუძნებლები

3.1. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ს/ნ 211349192), წარმომადგენელი რექტორი დავით გურგენიძე (პ.ნ. 01008017083)

2. შინაგან საქმეთა სამინისტრო სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო (ს/ნ 202191289), წარმომადგენელი ზაზა ფანცულაია (პ/ნ 01002001358)

მუხლი 4. წევრობა

4.1. ცენტრს ჰყავს წევრები და ასევე საპატიო წევრები.

4.2. ცენტრის წევრი შეიძლება გახდეს დარგის მეცნიერი, კერძოდ, დარგის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტი, ასევე მკვლევარი (რაც დასტურდება პუბლიკაციებით), სახანძრო უსაფრთხოებისა და პრევენციის სპეციალიზაციის პრაქტიკოსი, დარგში გამოცდილების მქონე პირი, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ასევე სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მოქმედი და ყოფილი თანამშრომელი, რომელიც იზიარებს ააიპ-ის წესდებასა და მიზნებს. მკვლევარის კვალიფიკაციის სათანადოთ მიჩნევა განეკუთვნება მხოლოდ ააიპ-ის გამგეობის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

4.3. ცენტრის წევრად პირის მიღება ხდება:

ა) ცენტრის გამგეობის მოწვევით. მოწვევას პირს უგზავნის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე ცენტრის თავმჯდომარე. მოწვეული პირი ცენტრის წევრად მიღებულად ჩაითვლება ამ პირის წერილობითი თანხმობის ცენტრში შემოსვლის დღიდან და აღნიშნულს არ ესაჭიროება ცენტრის გამგეობის თანხმობა.

ბ) წევრობის მსურველის წერილობითი განცხადებით ცენტრის გამგეობისათვის მიმართვით. გამგეობა წევრობის მსურველის წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 2 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ააიპ-ის მინიმუმ 5 წევრის წერილობითი რეკომენდაცია.

4.4. დარგის მეცნიერების და პრაქტიკის, ასევე სახანძრო უსაფრთხოების განათლების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ცენტრის გამგეობის გადაწყვეტილებით პირს შეიძლება მიენიჭოს ცენტრის საპატიო წევრის სტატუსი. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ცენტრის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობები.

მუხლი 5. წევრის უფლება-მოვალეობები

5.1. წევრი უფლებამოსილია:

5.1.1 მონაწილეობდეს ცენტრის საქმიანობაში;

5.1. 2. მონაწილეობს ცენტრის მართვაში ხმის უფლებით;

5.1.3. არჩეულ იქნეს ცენტრის ხელმძღვანელ ორგანოებში;

5.1.4. მონაწილეობდეს ცენტრის მართვაში სათათბირო ხმის უფლებით;

5.1.5. მიიღოს ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ცენტრის საქმიანობის შესახებ;

5.1.6. ცენტრის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, სარგებლოს ცენტრის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ ტექნიკური საშუალებებით.

5.2. ცენტრის წევრი ვალდებულია:

5.2.1. დაემორჩილოს ცენტრის წესდებას, კეთილსინდისიერად და ეფექტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;

5.2.2. გაუფრთხილდეს ცენტრის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

5.2.3. პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ცენტრის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით;

5.2.4. გადაიხადოს საწევრო შესატანი ცენტრის წევრთა საერთო კრების მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

5.3. ცენტრის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

5.3.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

5.3.2. გამგეობისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის 1 (ერთი) წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

5.3.3. სასამართლო გადაწყვეტილებით მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას;

5.3.4. გარდაცვალებისას.

5.3.5. წევრობიდან გასვლა ხორციელდება წევრად მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის წევრის მიერ განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

5.3.6. წევრი ცენტრის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება ექსორციზებულ ცენტრიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებს ან/და წესდებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატურად ან/და არაეფექტურად დაუცველობის შემთხვევაში.

მუხლი 6. ცენტრის წევრთა საერთო კრება

6.1. ცენტრის უმაღლეს მართველობის ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება.

6.2. კრება მოიწვევა ცენტრის გამგეობის მიერ და ტარდება ყოველი წლის აპრილში მაქსიმუმ დღეს.

6.3. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებებს საკითხის შეტანის წესებს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა ცენტრის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

6.4. წევრთა რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ცენტრის თავმჯდომარის, გამგეობის და ცენტრის წევრთა 1/5 (ერთი მეხუთედის) ინიციატივით, გამგეობის მიერ, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში. კრება უნდა ჩატარდეს მოწვევის შესახებ განცხადების გაკეთებიდან ორკვირეულ 7 და არაუგვიანეს 20 დღის ვადაში.

6.5. კრების მოწვევის შესახებ მომწვევი პერსონალურად წერილობით ატყობინებს წევრებს კრების დღის წესრიგის, გამართვის ადგილის, ზუსტი თარიღის და დროის მითითებით, ელექტრონულ მისამართზე, საცხოვრებელ და/ან იურიდიულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინებით, ან სხვა ტექნიკურ კომუნიკაციო საშუალებებით შეტყობინებით, რაც იძლევა ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების უტყუარ დადასტურებას.

6.6. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ცენტრის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში კრება გადაიდება და მოიწვევა განმეორებით იმავე წესით. განმეორებითი კრება უნდა დაინიშნოს პირველი კრებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. განმეორებითი კრება ლეგიტიმურია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

6.7. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ დამსწრეთა ხმების 2/3-ით.

6.8. საერთო კრების კომპეტენციაა:

6.8.1. ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

6.8.2. ცენტრის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;

6.8.3. ფარული კენჭისყრის წესით ცენტრის გამგეობის წევრთა არჩევა და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გათავისუფლება;

6.8.4. ფარული კენჭისყრით კავშირის სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გათავისუფლება.

6.8.5. ცენტრის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის და კავშირის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშის მოსმენა;

6.8.6. კრებაზე ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 წევრის შემადგენლობით.

მუხლი 7. გამგეობა

7.1. ცენტრის მართვის ორგანოა 4 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომლის წევრებსაც კავშირის წევრთაგან 4 (ოთხი) წლის ვადით ირჩევს ცენტრის წევრთა საერთო კრება. ცენტრის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის გამგეობაში და იგი ამავე დროს არის გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

7.2. გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტია ცენტრის თავმჯდომარის ხმა. გამგეობის წევრებს კრებაზე მონაწილეობა მასზედ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ დისტანციურად ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

7.3. გამგეობის სხდომის მოწვევა საჭირო არაა, თუ სხდომაზე განსახილველ საკითხს წერილობით ეთანხმება გამგეობის ყველა წევრი. წერილობითი თანხმობა სხდომის ოქმის ტოლფასია და ითვლება გამგეობის გადაწყვეტილებად.

7.4. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ სამ თვეში ერთხელ მაინც, ყოველი მესამე თვის მესამე კვირაში. გამგეობის სხდომის მოწვევის შესახებ ცენტრის თავმჯდომარე (ან თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი) პერსონალურად 7 (შვიდი) დღით ადრე წერილობით ატყობინებს სხდომის დღის წესრიგის, გამართვის ადგილის, ზუსტი თარიღის და დროის მითითებით, ელექტრონულ მისამართზე, საცხოვრებელ და/ან იურიდიულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინებით, ან სხვა ტექნიკურ საკომუნიკაციო საშუალებებით შეტყობინებით, რაც იძლევა ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების უტყუარ დადასტურებას. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომა გადაიდება და მოწვეება განმეორებით, რის შესახებაც გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომამდე 2 დღით ადრე. განმეორებითი კრება უნდა დაინიშნოს პირველი სხდომიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

7.5. რიგგარეშე გამგეობის სხდომის მოწვევა შეუძლია ცენტრის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით, ასევე გამგეობის 3 წევრის ინიციატივით.

7.6. გამგეობა:

7.6.1. გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს ცენტრის თავმჯდომარეს 4 (ოთხი) წლის ვადით;

7.6.2. ირჩევს ცენტრის საპატიო თავმჯდომარეს;

7.6.3. იწვევს და ატარებს საერთო კრებას;

7.6.4. თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ორგანიზაციულ სტრუქტურას, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე 5 დღით ადრე;

7.6.5. ფარული კენჭისყრით წყვეტს პირის ცენტრის წევრად მიღების საკითხს;

7.6.6. ფარული კენჭისყრით წყვეტს საპატიო წევრის სტატუსის მინიჭების საკითხს;

7.6.7. აწესებს და ანიჭებს ტიტულებს, გასცემს ჯილდოებს, პრემიებს;

7.6.8. ამტკიცებს ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

7.6.9. ფარული კენჭისყრით გამგეობის წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ცენტრის თავჯდომარეს წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ შემთხვევაში;

7.6.10. ქმნის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების, ფილიალების, ფილიალური ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს;

7.6.11. ანხორციელებს იმ პროგრამებს, რაც გამომდინარეობს ცენტრის ინტერესიდან;

7.6.12. აფუძნებს ცენტრის საწარმოებს და წყვეტს სხვა საწარმოებში ცენტრის წილობრივი მონაწილეობის საკითხს;

7.6.13. წყვეტს სხვა საკითხებს რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას.

7.7. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი. მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა ფარულ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

7.8. ცენტრის გამგეობის წევრები არიან:

1. ზაზა ფანცულაია (პირადი ნომერი 01002001358)
2. როინ ვარშანიძე (პირადი ნომერი 61010001119)
3. კახა ცეცხლაძე (პირადი ნომერი 61010002230)
4. ივანე ჯაგოდნიშვილი (პირადი ნომერი 01024062175)

მუხლი 8. ცენტრის თავმჯდომარე

8.1.1 ცენტრის თავმჯდომარე აირჩევა გამგეობის წევრებიდან, ერთი და იგივე პირი ცენტრის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით.

8.1.2. ცენტრის თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყველა წევრს. თავმჯდომარისა უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

8.1.3. თუ თავმჯდომარე ახალი თავმჯდომარის არჩევამდე ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებებს, ასეთ შემთხვევაში მისი ფუნქციების შესრულება უნდა დაევალოს გამგეობის უხუცეს წევრს.

8.1.4. ცენტრის თავმჯდომარის დავალებით და რწმუნებით თავმჯდომარის მოვალეობას წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს გამგეობის რომელიმე წევრი. თავმჯდომარის უფლებამოსილების შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე მის ფუნქციებს ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი.

8. 2. ცენტრის თავმჯდომარე:

8.2.1. წარმართავს ცენტრის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

8.2.2. ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის ...ომებს, ასევე გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის ...ორგანიზაციულ სტრუქტურას;

8.2.3. მოქმედებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს მას მესამე ...ირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციებთან და ...ასამართლოებში;

8.2.4. განკარგავს ცენტრის ფულად სახსრებსა და მატერიალურ ...ესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს ...ესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას, ხსნის და განკარგავს ...ენტრის ანგარიშებს;

8.2.5. ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;

8.2.6. დებს გარიგებებს ცენტრის სახელით, ასევე ხელშეკრულებებს ...როექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

8.2.7. ცენტრის გამგეობასთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს ...როექტების კოორდინატორებს;

8.2.8. ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის სხვა თანამშრომლებს;

8.2.9. წყვეტს ცენტრის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში ...�...ების საკითხებს და ამ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად ...არუდგენს გამგეობას;

8.2.10. უძღვება ცენტრის წევრებთან და წევრობის მსურველებთან ...ურთიერთობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

8.2.11. ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

8.3. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ ...ესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობის, ...უფლებამოსილების გადამეტების ან ცენტრის საწესდებო მიზნებთან ...ეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში ...ამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

8.4. ცენტრის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოვალეების ...ემასრულებელი) არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე. საჯარო სამსახურში ...ყვანის შემთხვევაში ცენტრის თავმჯდომარეს უწყდება უფლებამოსილება.

8.5. ცენტრის თავმჯდომარის ანაზღაურების საკითხი და ხელფასის ...ოდენობა გადაწყდება გამგეობის გადაწყვეტილებით.

8.6. ცენტრის თავმჯდომარეა კახა ცეცხლაძე პირადი ნომერი ...01001002230, დაბ. 03.08.1982 წელი. მის. ქ. თბილისი, ქ.წამებულის 47.ბ.44

8.7. საპატიო თავმჯდომარე

8.7.1. ცენტრის საპატიო თავმჯდომარეს ირჩევს გამგეობა.

8.7.2. საპატიო თავმჯდომარეს არ გააჩნია ცენტრის ...ავმჯდომარისათვის წესდებით გათვალისწინებული არანაირი უფლება-...ოვალეობები.

მუხლი 9. სარევიზიო კომისია

9.1. ცენტრის თავმჯდომარის მიერ და ზოგადად ცენტრის ფინანსების და სხვა ქონების საწესდებო მიზნებისათვის გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს სამი წევრისაგან შემდგარი ცენტრის სარევიზიო კომისია, რომელსაც წევრთა საერთო კრება ირჩევს 3 (სამი) წლის ვადით. კომისია თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

9.2. სარევიზიო კომისიის წევრი არ უნდა იყოს გამგეობის წევრი და ცენტრის მუდმივი ანაზღაურების მქონე თანამშრომელი, ასევე პოლიტიკური პარტიის წევრი.

9.3. სარევიზიო კომისია რევიზიას ანხორციელებს წელიწადში ერთხელ და ანგარიშს წარუდგენს საერთო კრებას. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

9.4. სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ სარევიზიო კომისიის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან კომისიის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული კომისიის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

9.5. სარევიზო კომისიის წევრს პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების შემთხვევაში უწყდება სარევიზიო კომისიის წერის უფლებამოსილება.

მუხლი 10. ცენტრის ქონება

10.1 ცენტრის ქონება იქმნება საწევრო შენატანებით, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

10.2. ცენტრის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 11. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

11.1.1 ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.1.2. ცენტრის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

11.1.3. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში;

11.1.4. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

11.2. ცენტრის ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.3. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა ანდა ამ მუხლში მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს ცენტრის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

12.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) ერთ-ერთი დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

12.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

_____ / _____ /
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)